ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 346

"6" ნოემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა №14-ში, შენობა-ნაგებობა №1-ში, პირველ სართულზე არსებული 729.25 კვ.მ. ფართიდან 540.31 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.11.05.035.010) შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის" (ს/კ: 200209844) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6, მე-8 და მე-9 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის და მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა №14-ში, შენობა-ნაგებობა №1-ში, პირველ სართულზე არსებული 729.25 კვ.მ ფართიდან 540.31 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: 01.11.05.035.010) შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის" (ს/კ: 200209844) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 4 ნოემბრის №20.1317.1623 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა №14-ში, შენობა-ნაგებობა №1-ში, პირველ სართულზე არსებული 729.25 კვ.მ ფართიდან 540.31 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: №01.11.05.035.010) შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის" (ს/კ: 200209844) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე, ამავე განკარგულებით

გათვალისწინებული პირობით: შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიას“ (ს/კ: 200209844) მიერ ყოველწლიურად მიღებული მოგების სრულად რეინვესტირება ამავე ქოწების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით და ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით განსაზღვრული უსასყიდლო უზუფრუქტის პირობების შესაბამისად.

2. უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს 2 წლით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე